ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №18

10.07.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **მარიკა დარჩია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **რუსუდან მირზიკაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ეკატერინე ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის

სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 3 ივლისის №12-031818443-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

2. **მიმდინარე საკითხები:**

2.1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-031808831-03 წერილის დამატებითი შესწავლისთვის გადადებული მე-2 წინადადება) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

2.2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 9 ივლისის №12-031819057-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ, მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 3 ივლისის №12-031818443-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის (მომხსენებელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი. აღნიშნული საკითხები წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №18.463.755 განკარგულების (წინადადება: **AR1578904; AR1581925)**, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის №18.438.747 განკარგულების (წინადადება: **AR1518657; AR1577737; AR1581006; AR1583811)** საფუძველზე შემუშავებული დადგენილების პროექტების სახით (სულ: 6 წინადადება).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტების განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 6 წინადადება).

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 ივნისის №18.438.747 განკარგულების (წინადადება: AR1518657; AR1577737; AR1581006; AR1583811) საფუძველზე შემუშავებული დადგენილების პროექტის:**

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, ჩიხორას I ჩიხი, ქუჩა №5-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის**

(საკადასტრო კოდი: №72.13.11.532) ნაწილზე 72 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილების შესახებ (AR1518657).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1518657 განაცხადით,** ჩიხორას I ჩიხი, ქუჩა №5-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.11.532) ნაწილზე (ფართობი: 72 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის რუკის ხარვეზის შედეგად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეჭრილია საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრებში და რეალურად არ წარმოადგენს სატრანსპორტო სივრცეს.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩარჩო გეგმის შემუშავების რეკომენდაციის თაობაზე.

გარდა ამისა, ბ-ნმა რ. სოხაძემ აღნიშნა, რომ ინტერაქტიულ რუკაზე ნაჩვენები ტერიტორიისთვის ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, შესაძლოა, მოხდეს სატრანსპორტო გზის დავიწროება.

მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის განმარტებით, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა, საკითხის შესწავლისას განიხილა ყველა შესაძლო ვარიანტი და საბოლოოდ მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა რეკომენდაცია №72.13.11.532 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე, რადგან კორექტირებული ზონის შემთხვევაში, არსებითად არ შეიცვლება სიტუაცია და ამავდროულად, მიწის ნაკვეთის ფუნქციის ცვლილება, სამომავლოდ, ხელს არ შეუშლის „ჩარჩო გეგმის" შემუშავებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ქალბატონმა რუსუდან მირზიკაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიხედვით, ნამდვილად პრობლემური, მწვავე და პრიორიტეტული საკითხია აღნიშნულ და სხვა მსგავს საპროექტო არეალების განაშენიანება „ჩარჩო გეგმის" მიხედვით. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, №72.13.11.532 მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება არსებით ცვლილებას არ გამოიწვევს და ხელს არ შეუშლის „ჩარჩო გეგმის" შემუშავების პროცესსა და პროცედურებს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, წულაძის ქუჩა №19-ის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.052.016-ის მიმდებარედ) მიმდებარედ 37 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილების შესახებ (AR1577737).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1577737 განაცხადით,** წულაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.052.016) მიმდებარედ (ფართობი: 37 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით ცვლილება. არსებული მდგომარეობით ტერიტორია ესაზღვრება საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს და არ წარმოადგენს საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილს, შესაბამისად არის დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის რუკის ხარვეზი.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **ქ. თბილისში, თვალჭრელიძის I შესახვევი №1/5-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე 1 104 კვ.მ. ფართობზე სანიტარული ზონის (სანზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილების შესახებ (AR1581006).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1581006 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, დასახლება სამგორი, თვალჭრელიძის I შესახვევის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.19.18.005.097) არსებულ ტერიტორიაზე (ფართობი: 1 104 კვ.მ.) მოთხოვნილია სანიტარული ზონის (სანზ) შესაბამისი ზონით ცვლილება. ტერიტორია არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას. ლეგალიზების კანონის ამოქმედებამდე ფიქსირდება შენობა-ნაგებობები, ასევე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო წინადადებით მოცემულ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - **ქ. თბილისში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.03.159) 123 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილების შესახებ (AR1583811).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1583811 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.03.159, ფართობი: 123 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით ცვლილება. რეალური მდგომარეობით მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კერძო საკუთრებას და სატრანსპორტო ზონა საპროექტო ტერიტორიაში იჭრება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის რუკის ხარვეზიდან გამომდინარე.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ ასევე აღინიშნა, რომ განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ფუნქციური ზონის ცვლილების ფართობად მითითებულია 12 კვ.მ, რაც საჭიროებს გასწორებას.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ კომისიის წევრებმა მიიღეს ცნობად.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

2. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №18.463.755 განკარგულების (წინადადება: AR1578904; AR1581925) საფუძველზე შემუშავებული დადგენილების პროექტის:**

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ში (საკდასტრო კოდი: №01.18.03.018.053) 123 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (AR1578904).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1578904 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.053) ნაწილზე (ფართობი: 123 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი ფუნქციური ზონით (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2)) ცვლილება. მოთხოვნილი ტერიტორია რეალურად არ არის საკადასტრო საზღვრის ნაწილი და შეიძლება განხილული იქნას, როგორც დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზი, ვინაიდან, სატრანსპორტო ზონა იმეორებს საკადასტრო საზღვრის იმ ნაწილს, სადაც მოთხოვნილია ცვლილება.

გარდა ამისა, მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) დამატებითი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს მოთხოვნილი ჰქონდა **№01.18.03.018.053** საკადასტრო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ №01.18.03.018.055 მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით. საკითხის შესწავლისას, ურბანული განვითარების სამსახურმა მიზანშეუწონლად მიიჩნია №01.18.03.018.055 მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება და განმცხადებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა მხოლოდ მის საკუთრებაში არსებულ №01.18.03.018.053 საკადასტრო ერთეულზე ფუნქციური ზონის ცვლილების სახით. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №18.463.755 განკარგულების საფუძველზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართის - ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პირველი პუნქტის ტექსტურ ნაწილში კორექტირებული ზონა (საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)) მითითებულია შეცდომით და საჭიროებს გასწორებას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის სახით.

კომისიისა და საკრებულოს წევრებმა (ბ-ნი გ. ტყემალაძე, ბ-ნი რ. სოხაძე) მოითხოვეს ინფორმაცია №01.18.03.018.053 საკადასტრო მიწის ნაკვეთის შემდგომი განვითარების თაობაზე. მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენა მომხსენებელმა (ე. ცეცხლაძე) ვერ უზრუნველყო.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **AR1578904 განაცხადით წარმოდგენილი** ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.053) ნაწილზე (ფართობი: 123 კვ.მ.) მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი ფუნქციური ზონით (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2)) ცვლილების საკითხის

განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

გადადებული იქნას AR1578904 განაცხადით, ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.053) ნაწილზე (ფართობი: 123 კვ.მ.) მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი ფუნქციური ზონით (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2)) ცვლილების საკითხის განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქალაქ თბილისში,გმირი კურსანტების ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.05.013.159, 01.11.05.013.136, 01.11.05.013.158 საერთო ფართობი: 13 362 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების შესახებ (AR1581925).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1581925 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.05.013.159, 01.11.05.013.136, 01.11.05.013.158, საერთო ფართობი: 13 362 კვ.მ.) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება. მოთხოვნილ ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გმირი კურსანტების ქ. №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.001) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №8 განკარგულების საფუძველზე შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **გადადებული იქნას AR1578904 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, პუშკინის ქუჩა №5-7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.053) ნაწილზე (ფართობი: 123 კვ.მ.) მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი ფუნქციური ზონით (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2)) ცვლილების საკითხის განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 3 ივლისის №12-031818443-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტების (სულ: 5 წინადადების - AR1581925; AR1518657; AR1583811; AR1577737 და AR1581006) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხის პირველი წინადადება:

2.1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 29 მარტის №12-

031808831-03 წერილის დამატებითი შესწავლისთვის გადადებული მე-2 წინადადება)

განსახილველ წინადადებასთან დაკავშრებით, სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ 2018 წლის 13 აპრილის სხდომაზე (ოქმი №11) განიხილა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (წერილი **№12-031808831-03 29.03.2018 წ.**) განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გუდიაშვილის ქუჩა №3/ე. მანჯგალაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.027.009) ნაწილზე (ფართობი: 9 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1564151). აღნიშნული საკითხის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად,** დამატებითი შესწავლის მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, გადადებული იქნა წინადადების განხილვა.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის პირველი წინადადება წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: ზ. აზარაშვილი) AR1564151 განცხადებით მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გუდიაშვილის ქუჩა №3-ში/ე. მანჯგალაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.027.009; მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 30 კვ.მ.; მესაკუთრე: შპს „სიტი ემ"; სააქციო საზოგადოება „თელასი") ნაწილზე (ფართობი: 9 კვ.მ.), სადაც განთავსებულია სს „თელასის" კუთვნილი ობიექტი. აღნიშნული შენობა-ნაგებობა მოქცეულია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის არეალში.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ №01.15.04.027.009 საკადასტრო ერთეულზე განთავსებული შენობა მოქცეულია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის არეალში და არსებული ფუნქციური ზონის (სატრანსპორტო ზონა 1) შეცვლა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით არ არის მიზანშეწონილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა: **ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გუდიაშვილის ქუჩა №3/ე. მანჯგალაძის ქუჩა №1-ის**

მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.027.009) ნაწილზე (ფართობი: 9 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

უარი ეთქვას ქალაქ თბილისის მერის 2018 წლის 29 მარტის №12-031808831-03 წერილით განსახილველად წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გუდიაშვილის ქუჩა №3/ე. მანჯგალაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.027.009) ნაწილზე (ფართობი: 9 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილებას (AR1564151).**

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხის მეორე წინადადება:

2.2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 9 ივლისის №12-031819057-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის მეორე წინადადება წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 9 წინადადება - **AR1586643; AR1555309; №19/0118075665-67; №№04-0118176958-67, 04-01181782763-67 და 01-101181723660-67; №01181062372-67; №01181092775-67; №01181131746-67; №01181203641-67; №01181353650-67**).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 9 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლება, სასაფლაოს მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.15.08.004.002, ფართობი: 3 937კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების შესახებ (AR1586643).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1586643 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლება, სასაფლაოს მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.15.08.004.002, ფართობი: 3 937კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება. საპროექტო ტერიტორია რეალურად წარმოადგენს სასაფლაოს ნაწილს, სადაც დაფიქსირებულია ძველი საფლავები.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **საკრებულოს 2017 წლის 19 სექტემბრის №18-65 დადგენილებაში 23-ე პოზიციაზე ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ (ქალაქ თბილისში, ხელოვანთა ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.001.003, 01.17.09.001.044, 01.17.09.001.007, 01.17.09.001.042, 01.17.09.001.041, 01.17.09.001.023) და მათ მიმდებარედ დაფიქსირება ტექსტურ ნაწილში საცხოვრებელი ზონა 1-ს (სზ-1)**

ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1). AR1555309).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1555309 განაცხადით** მოთხოვნილია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 სექტემბრის №18-65 დადგენილებაში (23-ე პოზიცია) დაშვებული ტექნიკური ხარვეზის (შეცდომის) გასწორება, კერძოდ, ქალაქ თბილისში, ხელოვანთა ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.09.001.003, 01.17.09.001.044, 01.17.09.001.007, 01.17.09.001.042, 01.17.09.001.041, 01.17.09.001.023) და მათ მიმდებარედ საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „გ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **საკრებულოს 2017 წლის 19 სექტემბრის №18-65 დადგენილებაში მე-8 პოზიციაზე ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ (ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.21.00.175, 81.21.05.205, 81.21.01.621) მიმდებარედ 390 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2). №19/0118075665-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№19/0118075665-67 განაცხადით** მოთხოვნილია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 სექტემბრის №18-65 დადგენილებაში (მე-8 პოზიცია) დაშვებული ტექნიკური ხარვეზის (შეცდომის) გასწორება, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №№81.21.00.175, 81.21.05.205, 81.21.01.621) მიმდებარედ 390 კვ.მ. ფართობზე.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - **ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №6-ში სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.135, ფართობი: 19 012 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილების შესახებ (№№04-0118176958-67, 04-01181782763-67 და 01-101181723660-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№№04-0118176958-67, 04-01181782763-67 და 01-101181723660-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №6-ში სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.135, ფართობი: 19 012 კვ.მ.) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიის განვითარება ხორციელდება საცხოვრებელი ფუნქციით, ტერიტორია განაშენიანებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ე" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5) - **ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი: 2 229 კვ.მ.) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების შესახებ (№01181062372-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181062372-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი 2

229 კვ.მ.) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5). საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონაში. გამომდინარე იქიდან, რომ საცხოვრებელ ზონა 5-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის არსებული საზღვრის ცვლილება გამოიწვევს განაშენიანების ინტენსივობის ზრდას, ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი 2 229 კვ.მ.) ნაწილზე მხოლოდ საკადასტრო საზღვრებში გავრცელებულ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილებაა მისაღები. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 5 ივლისის №18.514.808 განკარგულების „ე" ქვეპუნქტში და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ე"ქვეპუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და კორექტირებულ ფუნქციურ ზონად, ნაცვლად საცხოვრებელი ზონა 3-ისა, დაფიქსირებულია საცხოვრებელი ზონა 5, რაც საჭიროებს გასწორებას.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - №01.15.02.039.036 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მესაკუთრისა და ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ ტერიტორიის განვითარების შესახებ.

კომისიისა და საკრებულოს წევრებმა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დამატებით მოითხოვეს დეტალური და დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა.

მომხსენებელმა (ე. ცეცხლაძემ) წარმოადგინა მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერი №01.15.02.039.036 მიწის ნაკვეთის მესაკუთრისა და დაზუსტებული ფართობის თაობაზე, ხოლო ტერიტორიის შედგომი განვითარების თაობაზე მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება ვერ უზრუნველყო.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01.15.02.039.036 საკადასტრო მიწის ნაკვეთის **დაზუსტებული ფართობია:** 2 229 კვ.მ. **მესაკუთრე:** შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი". მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობები (№1, №2, №3, №5, №6, №7 საერთო ფართობით: 624.44 და №4 რეზერვუარი).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01181062372-67 განაცხადით წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი: 2 229 კვ.მ.) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხის** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის

მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

გადადებული იქნას №01181062372-67 განაცხადით წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი: 2 229 კვ.მ.) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხის განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 6) - **ქალაქ თბილისში, გედევანიშვილის ქუჩა №22-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.07.004.009) მიმდებარედ 25 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№01181092775-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181092775-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გედევანიშვილის ქუჩა №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.07.004.009) მიმდებარედ (ფართობი: 25 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით (ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ)) ცვლილება. აღნიშნული ტერიტორია რეალურად წარმოადგენს განმცხადებლის (მ. დერგალიუკი) საკუთრებაში ღობის შიგნით არსებული ეზოს ნაწილს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 7) - **ქალაქ თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატო, №3 კორპუსის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.006.005) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე 73 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილების შესახებ (№01181131746-67)**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181131746-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატო, №3 კორპუსის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.006.005) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (ფართობი: 73 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი სარეკრეაციო ზონით (რზ-2) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობს მიწისქვეშა ავტოფარეხები, რომელზეც თავის დროზე შედგენილია შესაბამისი პროექტი.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 8) - **ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე 49 353 კვ.მ. ფართობზე (გრგ) სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილების შესახებ (№01181203641-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181203641-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფართობი: 49 353 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეცაიო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 2 აგვისტოს №226 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა. შესაბამისად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და „ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში რეხის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 2 აგვისტოს №226 განკარგულების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილების საკითხი.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 9) - **ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, სადგურ ლილოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.006.059) და მის მიმდებარედ 3 323 კვ.მ. ფართობზე ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილების შესახებ.**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181353650-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, სადგურ ლილოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.006.059) და მის მიმდებარედ 3 323 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება; აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე შეჭრილია ზოგადი საცხოვრებელი ზონა და მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთით ესაზღვრება სამრეწველო ზონა 2 (ს-2). შესაბამისად, ზონის ცვლილებით შეივსება ტერიტორია მთლიანად ერთი ფუნქციური ზონის არეალით.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **გადადებული იქნას** №01181062372-67 განაცხადით წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, ბარნოვის I ჩიხი, №10-ში მდებარე ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.039.036, ფართობი: 2 229 კვ.მ.) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხის განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 9 ივლისის №12-031819057-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 8 წინადადების - AR1586643; AR1555309; №19/0118075665-67; №№04-0118176958-67, 04-01181782763-67 და 01-101181723660-77; №01181092775-67; №01181131746-67; №01181203641-67; №01181353650-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე